საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/432

ქ. ბათუმი 19 მაისი, 2023 წ.

ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" ზოგიერთი მსმენელისათვის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის და 66[1]–ე მუხლის მე–6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის "ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" ზოგიერთი მსმენელისათვის პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 21 აპრილის N01-08/399 ბრძანების, ბსუ-სა და პროფესიულ სტუდენტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მამუკა გოგელიას 2023 წლის 20 აპრილის N436741 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეუწყდეთ ბსუ-ს მსმენელის სტატუსი ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" იმ მსმენელებს *(დანართი №1)*, რომელთაც ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. ბრძანება აისახოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

4. ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ოფიციალური გაცნობის მიზნით, ინდივიდუალურად ეცნობოს შესაბამის პროფესიულ სტუდენტს (ბრძანებაში აღნიშნულ სხვა პროფესიულ სტუდენტთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით), რომლის უზრუნველყოფა დაევალოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, პროფესიულ სტუდენტებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის "ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" ზოგიერთი მსმენელისათვის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე“

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 19 მაისის №01-08/432 ბრძანების

დანართი №1

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" პროფესიული სტუდენტები, რომლებმაც ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები და შეუწყდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი:

№	სახელი და გვარი ქართულად	პირადი№	ჩარიცხვის ბრძანების № და თარიღი/ ხელშეკრულების № და თარიღი	მისამართი
1	ლაშა მგელაძე		01-08/37; 08.02.2023 წ. ხელშ. 20-29/69; 30.01.2023	ქობულეთი, სოფ. ზენითი
2	მირონ თავდგირიძე		01-08/37; 08.02.2023 წ. ხელშ. 20-29/70; 30.01.2023	ქედა, სოფ. ახო